ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტური ინოვაციების კონკურსი

მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კაცობრიობის მომავალს. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სტუდენტების არასტანდარტულმა აზროვნებამ ბევრ ისეთ გამოგონებას ჩაუყარა საფუძველი, რომელთა გარეშეც დღეს ცხოვრება წარმოუდგენელია. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის წესდება სტუდენტური ინოვაციების კონკურსი.

მიზანი

- კრეატიული სტუდენტების მორალური და მატერიალური მხარდაჭერა;
- სტუდენტების მოტივაციის გაზრდა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის გამოყენებისთვის პრაქტიკული პრობლემების გადასაწყვეტად;
- სტუდენტებში მეცნიერული კვლევის შედეგების კომერციალიზაციისადმი ინტერესის გააღვივება;
- იმ ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და ხელშეწყობა, რომელთაც აქვთ ინოვაციური „ტექნიკური“ იდეა, რომელსაც „მსოფლიოს შეცვლა“ შეუძლია.

მიმართულებები/სექციები

- კონკურსი ჩატარდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე შემდეგ სექციებად:
- მათემატიკა;
- კომპიუტერული მეცნიერებები;
- ფიზიკა;
- ქიმია;
- ბიოლოგია;
- ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია;
- გეოგრაფია;
- გეოლოგია;
- ინტერდისციპლინური.

პრიზი

- თითოეული სექციის საპრიზო ფონდში გამოიყოს თანხა არანაკლებ ერთი სტუდენტის სწავლის წლიური გადასახადის მოცულობით;

- სექციებში საპრიზო თანხის განაწილების სქემა შესაძლებელია იყოს განსხვავებული;
- საპრიზო თანხის მოცულობა შესაძლებელია გაიზარდოს დამატებითი სახსრების მიზიდვის ხარჯზე.

შეფასება

- ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება სტუდენტური ინოვაციების საკონკურსო კომისია სექციების შესაბამისად;
- განაცხადის შეფასებისას კომისია ვალდებულია გაითვალისწინოს შემდეგი კრიტერიუმები:
    - კრეატიულობა/ინოვაციურობა;
    - რეალურ სამყაროში გამოყენების სფერო;
    - ტექნიკური შესრულების ხარისხი;
    - უპირატესობა სხვა არსებულ ანალოგებთან შედარებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
    - განაცხადის გაფორმება/პრეზენტაცია;
    - კომერციალიზაციის პოტენციალი;
- კომისია უფლებამოსილია:
    - კონკურსიდან მოხსნას განაცხადი (სათანადო დასაბუთებით);
    - დააზუსტოს შეფასების კრიტერიუმები: დარგობრივი სექცია ადგენს თითოეული კრიტერიუმის წონას დარგობრივი სექციების სპეციფიკის გათვალისწინებით;
    - მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტი ექსპერტიზისთვის;
    - შეიმუშაოს საპრიზო ფონდის განაწილების სქემა;
- კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით;
- კომისია გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

წინასწარი განაცხადი

- წინასწარ განაცხადში წარმოდგენილი უნდა იყოს:
    - დასახელება;
    - ავტორ(ებ)ი გვარი, სახელი, საგანმანათლებლო პროგრამა, CV;
    - ანოტაცია (300 სიტყვა);
    - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის რეკომენდაცია;
    - პრობლემის ფორმულირება და აქტუალობა;
    - ინოვაციის გამოყენების არეალი და მისი მნიშვნელობა;
    - განხორციელების ვადები;
    - ბიუჯეტი;
- წინასწარი განაცხადის საფუძველზე უნდა მოხდეს
    - სტუდენტების შერჩევა, რომლებიც კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას;
    - პროექტების შერჩევა, რომელთაც გამოეყოფათ წინასწარი დაფინანსება;

- წინასწარი განაცხადის დაფინანსება შეიძლება გამოიყოს მხოლოდ მცირეფასიანი (საქონელი და მომსახურება) მასალების შეძენის მიზნით არაუმეტეს 450 ლარის ოდენობით ერთ განაცხადზე;
- სექციისთვის წინასწარი განაცხადის დასაფინანსებლად გამოყოფილი ჯამური თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთი სტუდენტის ერთი წლის სწავლის საფასურს;
- წინასწარ განაცხადს განიხილავს კომისია;
- კონკურსში მონაწილეობა შესაძლებელია წინასწარი განაცხადის გარეშეც;
- წინასწარი განაცხადის საფუძველზე დაფინანსების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით.

საკონკურსო განაცხადი

- დასახელება;
- ავტორ(ებ)ი გვარი, სახელი, საგანმანათლებლო პროგრამა, CV;
- შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის რეკომენდაცია;
- ანოტაცია (300 სიტყვა);
- პრობლემის ფორმულირება და აქტუალობა;
- პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება (დასაბუთება);
- პრობლემის გადაწყვეტის გზების და ვადების აღწერა;
- საილუსტრაციო მოდელი/მაკეტი/პროგრამა;
- ინოვაციის გამოყენების არეალი და მისი მნიშვნელობა;
- ბიუჯეტი;
- ავტორ(ებ)ის წვლილი შესრულებულ სამუშაოში;
- ინოვაციის ვიდეოპრეზენტაცია (ხანგრძლივობა არაუმეტეს 5 წთ);
- კონკურსანტის მოსაზრება – რატომ უნდა მიენიჭოს პრიზი.

შეზღუდვები

- ერთიდაიგივე პიროვნება შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი საკონკურსო განაცხადის ავტორი/თანაავტორი;
- ინოვაციად არ ჩაითვლება აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია, მათემატიკური მეთოდი;
- კომისია არ განიხილავს განაცხადს, თუ ის წარმოდგენილია:
  - დაგვიანებით;
  - არასრულად.

სტუდენტური ინოვაციების კონკურსის გამოცხადება

კონკურსის გამოცხადება ხდება დეკანის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით.

გამარჯვებული ინოვაციის პრეზენტაცია

- გამოფენა/პრეზენტაცია;
- განთავსება ფაკულტეტის ვებ გვერდზე.

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები

- დაფინანსებული საკონკურსო განაცხადის ფარგლებში შექმნილი გამოგონების დაპატენტების უფლება ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (თსუ). შესაბამისად, თსუ-ს ენიჭება პატენტთან დაკავშირებული განსაკუთრებული უფლებები. ამ უფლებებიდან გამომდინარე მიღებული შემოსავლის პროცენტულობა განისაზღვრება თსუ-სა და პრიზის მიმღებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, მაგრამ თსუ მიიღებს აღნიშნული შემოსავლის არანაკლებ 51%-ს.
- პრიზის მიმღებს ეკრძალება პროექტის ფარგლებში შექმნილ ნაწარმოებზე არსებული განსაკუთრებული უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერი ფორმით გადაცემა მესამე პირისათვის ნაწარმოების შექმნიდან 5 წლის განმავლობაში თსუ-ს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ამასთან, ნაწარმოების გამოყენებიდან მიღებული შემოსავალის პროცენტულობა განისაზღვრება თსუ-სა და პრიზის მიმღებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. (ტერმინი „ნაწარმოები“ აქ გულისხმობს წიგნს, ბროშურას, კომპიუტერულ პროგრამას, რუკას, გეგმას, ესკიზს, ილუსტრაციას, თარგმანს, კრებულს, ენციკლოპედიას, ანთოლოგიას, მონაცემთა ბაზას და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა სახის ნაშრომებს).